პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 7 მაისი 1925 წ.

წელიწადი მეხუთე — ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 99 (797) | 1და2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განყოფილების ყოველდღიური გაზეთი

რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელხმენი 2—24

განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## არ გასწყვიტოთ კავშირი „წითელ არმიელთან".

ეს სიტყვები სავსებით ეხებიან ჩვენ სამხკორებს. და აი რატომ. სულ მალე ჩვენი ძირითადი ნაწილები გავლენ საბანაკოთ. ყაზარმის კედლებიდან თავის მუშაობას ისინი გადაიტანენ საზაფხულო კარვებში. სამუშაო კი ჩვენ წითელ ჯარს საზაფხულო პერიოდში ბევრი აქვს. ასეთებია პრაქტიკაზე ყოველივე იმის შეთვისება, რაც ზამთარში იქმნა განვლილი, სოფელთან მჭიდრო კავშირის გაბმა და სხვა. ასე რომ ჩვენ სამხკორებისათვის საწერი მასალა აუარებელია. მაგრამ სამწუხაროდ გასულ წლების მაგალითებმა დაგვანახეს, რომ სწორედ საზაფხულო პერიოდში ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრების და მუშაობის გაშუქება ჩვენს გაზეთში ცუდათ სწარმოებდა. აიხსნება ეს იმით, რომ სამხკორები, როგორც კი მათი ნაწილები დაშორდებოდენ ზამთრის სადგომს, მყისვე სწყვეტდენ კავშირს გაზეთთან. ეს რასაკვირველია არა ნორმალური მოვლენად უნდა ჩაითვალოს და ის სრულიად უნდა ავიცილოთ თავიდან წრეულს. ეს კი სავსებით და მთლიანად დამოკიდებულია ჩვენი სამხკორებისაგან, მათი მუყაითობისა და ენერგიისაგან.

მართალია გაზეთთან დამაკავშირებელი საშუალებანი და გზები ზაფხულში გაცილებით უფრო ძნელი და რთულია, ზამთართან შედარებით ხშირად მოუხერხებელიც, მაგრამ სამხკორმა მაინც ყველაფერი უნდა გადალახოს და თავის დროზე მოაწოდოს გაზეთს საჭირო მასალა.

ერთ დღითაც არ უნდა იქმნას შეწყვეტილი კავშირი „წითელი არმიელთან". პირიქით ეს კავშირი უფრო გაძლიერებულ უნდა იქმნას. არც ერთი მნიშვნელოვანი მიღწევა, უარყოფითი ან დადებითი მოვლენა ჯარის საზაფხულო მუშაობისა, არ უნდა გამორჩეს სამხკორის ფხიზელ თვალს.

როგორი მომზადებული გავედით ბანაკში, როგორ მოვეწყვეთ იქ, როგორი კავშირი დავიკავეთ გლეხობასთან, როგორ მიდის საზაფხულო სამხედრო და პოლიტიკური მეცადინეობანი, რა უშლის ხელს მის ნორმალურ მსვლელობას, რა წარმატებებია—აი ყველა ის საკითხები და სხვა მრავალი, რომლებიც უნდა ფართოდ გააშუქონ სამხკორებმა.

ამჟამად კი სამხკორებმა უნდა მოგვაწოდონ წერილები, თუ როგორ ემზადებიან მათი ნაწილები ბანაკში გასასვლელად; შემდეგ სამხკორების ყურადღება უნდა შეჩერდეს თვით გადასვლის მომენტზე და ასე.

ჩვენი სამხკორების მოვალეობას საზაფხულო პერიოდში აგრეთვე შეადგენს, გაზეთ „წითელ-არმიელის" გავრცელება გლეხებში, რაც კიდევ ზედმეტად შეუწყობს ხელს წითელ-არმიის სოფელთან დაახლოების საქმეს.

ამრიგად კიდევ ერთხელ მოუწოდებთ ჩვენ სამხკორებს ერთ წუთსაც არ გასწყვიტონ კავშირი ჩვენ გაზეთთან და უფრო გაალრმავონ ის.

ეს დავალება სამხკორებმა პირნათლად უნდა შეასრულონ!

## „ამ ნაკლსაც გამოვასწორებთ".

(სტეკლოვის წერილი)

ამ სათაურით გაზ. „იზვესტიაში" მოთავსებულია სტეკლოვის წერილი საბჭოთა მსროლელთა სპორტის საზოგადოების შესახებ, რომელშიაც ნათქვამია:

„მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ტეხნიკის განვითარება სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და თანდათან ფართოვდება სპეციალურ გვარის იარაღების ხმარება, უეჭველია კიდევ დიდხანს დარჩება ქვეითი ჯარი ამა თუ იმ გვარის შაშხანით შეიარაღებული. ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ წმინდა ზნეობრივ და ფიზიკურ თვისებათა გარდა, რომელიც მოეთხოვება მეომარს, ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია გვყავდეს კარგად მომზადებულ ინდივიდუალურ მსროლელთა კადრები.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს მეტად კარგად ესმის საქმის ეს მხარე.

მსოფლიო ომამდის იქ ბევრი რამ კეთდებოდა იმ მხრივ, რომ მოსახლეობას ასწავლიდენ თანამედროვე იარაღების ხმარებას. მსოფლიო ომის შემდეგ მსროლელთა სპორტი და სროლის საქმე ბურჟუაზიულ ქვეყნებში ფართედ განვითარდა. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ამ ჟამად გერმანიაში მოიპოვება 750-დი მსროლელთა სასპორტო საზოგადოება, საფრანგეთში 1.000 მეტი, ხოლო შეერთებულ შტატებში მათი რაოდენობა 15.000-ს აღემატება.

რა კეთდება ამ მხრივ ჩვენში? შეიძლება ითქვას, რომ სრულიად არაფერი ან თითქმის არაფერი. მთელ ჩვენს კავშირში არსებობს სულ 4 მსროლელთა სასპორტო ორგანიზაცია.

თუ კი ბურჟუაზიულ ქვეყნებში კეთდება ყველაფერი, რომ საჭიროების დროს დაიცვან ექსპლოატაციისა და ჩაგვრის რეჟიმი, ნუთუ ჩვენც არ ვიხმართ ყოველგვარ ღონისძიებას იმისთვის, რომ შევქმნათ ისეთი პირობები, რომლის საშუალებითაც ჩვენ შევსძლებთ დავიცოთ ოქტომბრის რევოლიუციის დიადი მონაპოვარნი.

ამ თვალსაზრისით სამსროლელო სპორტი არის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე.

საბჭოთა რესპუბლიკა ჩქარა უნდა დაიფაროს მსროლელთა საზოგადოებათა ქსელით.

ხსნის რა ამ წერილით კამპანიას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირში მსროლელთა სპორტის მნიშვნელობის გარკვევისა, და ამ არსებითი საქმისადმი საზოგადოებრივი ყურადღების მიქცევისაკენ, „იზვესტიას" რედაქცია ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ მისი მოწოდება ჰპოვებს გამოძახილს მუშებისა და გლეხების ფართე მასებში, საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციებსა და საბჭოთა საზოგადოებრივობის ფართე ფენებს შორის".

# ახალი რადიო-ამბები

## ჰინდენბურგის პრეზიდენტობა მენშევიკების ბრალია.

ბერლინის ფაბრიკა-ქარხნების ოპოზიციონური კომიტეტების ყრილობამ მოისმინა რუტ ფიშერისა და პიკის მოხსენება, ყველა ხმების უმეტესობით ერთი სოციალ-დემოკრატის წინააღმდეგ გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჰინდენბურგის არჩევაში პასუხისმგებლობა აწევს სოციალ-დემოკრატებსო.

რეზოლიუციაში მოწონებულია აგრეთვე კომპარტიის წინადადება გამოცხადებულიყო გაფიცვები ჰინდენბურგის მიერ თანამდებობის ჩაბარების დღეს.

## ინგლისელი დელეგატი-ქალი საბჭოთა კავშირის მუშა-ქალთა ცხოვრების შესახებ.

ინგლისის ქალთა პროფკავშირების დელეგაციის თავმჯდომარემ მერი კვეილმა გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი მოსკოვის და ლენინგრადის შესახებ როსტას თანამშრომელს.

მერი კვეილის სიტყვით მან ამ ქალაქებიდან საუკეთესო შთაბეჭდილება გამოიტანა.

მოგზაურობის დროს მე ვადარებდი რუსეთისა და ინგლისის მუშა ქალთა ცხოვრების პირობებს და უნდა გამოვსთქვა მწუხარება, რომ ინგლისში არ მოიპოვება ისეთი კარგი დაწესებულებები, როგორიცაა ბავშვთა სახლი, ბაგა, კერა, მუშათა კლუბები, მუშა ქალთა კუთხე და სხვაო.

„შეიძლება—განაცხადა მან—ინგლისის მუშა ქალი რუსეთის მუშა ქალზე მეტ ხელფასს იღებდეს, მაგრამ რუსეთის მუშა ქალი გაცილებით მეტადაა დაჯილდოებული თავისი უფლების სოციალურ დაცვის საქმეში".

კვეილი მეტად გაჰკვირდა „ტრეუგოლნიკის" ქარხანაში, როცა ნახა, რომ ყველა მუშა ქალები ღებულობდენ რძეს, რასაც ინგლისში ადგილი არ აქვს.

## ინგლის-საბჭოთა ვაჭრობა.

ინგლისის სავაჭრო საქმეთა მინისტრმა ლისტერმა თემთა პალატაში შემდეგი ცნობები მოიყვანა ინგლის—საბჭოთა ვაჭრობის შესახებ:

1924 წელში საბჭოთა კავშირიდან ინგლისში შემოტანილ იქნა 20 მილიონი გირვანქა სტერლინგის საქონელი. ინგლისიდან საბჭოთა კავშირში გატანილ იქნა 11 მილ. 170 ათასი გირვანქა სტერლინგის საქონელი.

1925 წლის პირველ მეოთხედში ინგლისიდან საბჭოთა კავშირში გატანილ იქნა 4.599.000 გირ. სტერლინგის, საბჭოთა კავშირიდან კი—3.235.000 გირ. სტერლინგის საქონელი.

## საფრანგეთის ჯარების მოქმედება მაროკოში.

გენერალ კოლომბამ მაროკოს ჩრდილოეთ-დასავლეთ ფრონტზე გააძლიერა თავისი პოსტები. ფრონტის ცენტრში 4 მაისს პოლკოვნიკ ფრედენბერგის ჯარებს გააფთრებული შეტაკებები ჰქონდა რიფების ტომებთან, რომლებიც ცხარე ბრძოლების შემდეგ თანდათან უკან იხევენ. დასავლეთ მიმართულებით პოლკოვნიკ კამბეს რაზმებმა განთავისუფლა კიფანეს რაიონის შესავალი. აჯანყებულებმა დიდძალი მსხვერპლი დაჰკარგეს.

საფრანგეთის ჯარების მსხვერპლი უმნიშვნელოა.

## ნაადრევი სიხარული.

საფრანგეთის რადიკალები ზეიმობენ კომუნისტების დამარცხებას მუნიციპალურ არჩევნებზე.

მაგრამ ნამდვილად კი კომუნისტების დამარცხება არც იმდენად დიდია, როგორც ამის დამტკიცებას სცდილობენ მათი მტრები.

თუ 1922 წელში მათ მიიღეს ყველა ხმებიდან 22 პროცენტი, ეხლა მათ მიიღეს 19 პროც., ამასთან პარიზის 6 ოლქში კომუნისტებს მეტი შანსები აქვთ გავიდენ ხელახალი კენჭის ყრის დროს.

## ჩვენი ფლოტი გაძლიერდა.

გაზ. „ფოსსიშე-ტაგ-ბლადეტი" სწერს საბჭოთა კავშირის ბალტიის ფლოტის შესახებ და აღნიშნავს, რომ ფინეთის სამხედრო წრეები ამ კამპანიის დასაწყისში ხედავენ საბჭოთა სამხედრო ფლოტის პირადი შემადგენლობის შეიარაღებისა და ტეხნიკურ მოწყობის წინსვლას (პროგრესს).

## საპირველმაისო საჩუქრები სტალინგრადს.

პირველ მაისს სტალინგრადში (ცარიცინში) მოხდა ლენინის ძეგლის საზეიმო გახსნა. იმავე დროს გაიხსნა სამი ქარხანა: სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ლითონის ნივთების დამმზადებელი და ნავთის გამომხდელი.

## მისალმება და საჩუქრები.

უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე ამხ. კამენევის სიტყვის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია.

ბოლოს დაიწყო მისალმებები. უკრაინის მუშათა კლასის სახით ყრილობას ესალმებიან მუშები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ისინი მტკიცე კავშირში გლეხობასთან, თავის მთავრობასა და კომუნისტურ პარტიასთან განაგრძობენ მუშურ-გლეხური სოციალისტური რესპუბლიკის აღმშენებლობის საქმეს.

ყრილობამ მიიღო მუშათა ორგანიზაციებიდან მრავალი საჩუქარი, მათ რიცხვში ორთქლმავალის მოდელი, რომელზედაც მემანქანეთ სდგას ლენინი; მანქანა მიჰქრის მსოფლიო რევოლიუციის ლიანდაგზე.

# ოფიციალური ცნობა.

ჩემი და აგრეთვე ჩემი მოადგილეების გამგზავრების გამო საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობაზე, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის ასრულება ევალება მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარს ამხ. ა. ნაზარეტიანს.

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

# ბალტიის ფლოტის სასინჯი ვარჯიშობა.

3 მაისს ბალტიის ფლოტმა შეასრულა სამოსწავლო ვარჯიშობა ბალტიის ზღვაზე. სანიმუშო გემმა დაამტკიცა ფლოტის კარგი მდგომარეობა.

# საგაზაფხულო თესვა.

**პადოლიის ოლქში.**

პადოლიის მხარეში საგაზაფხულო თესვა წარმატებით დასრულდა.

დათესილ იქნა მთელი მოედანი. ამინდი კარგია.

**პერმის ოლქში.**

პერმის ოლქში დაიწყო საგაზაფხულო თესვა. გლეხობამ გააფართოვა სათესი მოედანი. ამინდი კარგია.

**ბელორუსიაში.**

ბელორუსიაში გაცხოველებული მუშაობაა. ზამთრის ნათესები ყოველგან დამაკმაყოფილებელია.

# ქალაქის ხელოსნები--სოფლის ხელოსნებს.

სოფლისა და ქალაქის დაახლოების განხორციელების მიზნით ბაქოს ქალაქის ხელოსანთა კავშირი აგზავნის აზერბაიჯანის სოფლებში მჭედლებს, ზეინკლებსა და სხვა დარგის ხელოსნებს.

# საზაფხულო პრაქტიკაზე.

„აზნეფტი-“ს სარეწავოებში საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებიდან საზაფხულო პრაქტიკაზე იგზავნება 300 სტუდენტი.

# სამხედრო საქმე

## სწრაფი, ხელ-მიშვერ სროლა.

მოხდენილი, ხელსაყრელი შემთხვევა ბრძოლაში წუთიერი და სწრაფად-წარმავალია.

ასეთი შემთხვევის ხელში ჩაგდებას ნიადაგ უნდა სცდილობდე, მუდამ დაგეშილი უნდა იყო. ხშირად ახლო მანძილზე სწრაფად გამოჩნდება, და მიიმალება მოძრავი მიზანი (მტერი), რაიც მოითხოვს სწრაფ, მარჯვე და მოხდენილ სროლას, რომ შემუსრო ის. ასეთ სწრაფ სროლას, როცა ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა არც კი გაქვს მოფიქრების დრო, ეწოდება **სწრაფი ხელ-მიშვერ** (НА ВСКИДКУ) **სროლა.** მაგალითად უეცრად გამოჩნდა მტრის მხარეზე მოკლე დროით ცალკე ფიგურები, მეთაურთა შემადგენლობის პირები, ტყვიამფრქვევი და სხვა. ასე უეცრად გამოჩენილი მიზანი რომ შემუსრო უნდა შეგეძლოს სწრაფი და მარჯვე სროლა.

ბუნებრივია ისეთი შემთხვევა, როცა მტერს თუ არ დაასწარი სროლა, ის დაგასწრებს და შეგმუსრავს; ან და არის ისეთი შემთხვევა, როცა გინდა ჩაუკლა მტერს სურვილი ამოჰყოს თავი სანგრიდან.

რაში გამოიხატება მომზადება ხელ-მიშვერ სროლისათვის?

პირველ ყოვლისა ყოველმა მეომარმა უნდა ივარჯიშოს სწრაფ სროლაში. ეს ვარჯიშობა ავტომატიურობამდი უნდა იქნას მოყვანილი, ე. ი. მსროლელი და თოფი უნდა შეადგენდეს თითქოს მთლიანსა და სწრაფ მასროლ მანქანას. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა: მსროლელმა უნდა შეისწავლოს ძალის ველზე თვალდევნება, მიზნების დაზვერვა, მათი წრაფად შეფასება საბრძოლო თვალსაზრისით, მანძილის სწორი გაზომვა, კორას სათანადოდ დაყენება და სამიზნი წერტილის ამორჩევა.

ჩამოთვლილი ამოცანები ამტკიცებენ, რომ სწრაფი ხელ-მიშვერ სროლა შედეგია ხანგრძლივი და განუწყვეტელი სწავლებისა სროლის საქმეში. მუდმივი პრაქტიკა საბრძოლო გარემოების პირობებში გამოიმუშავებს ყოველ მეომარში გამოცდილსა და მარდ მსროლელს.

მაგრამ ამ მიზნის წარმატებით მიღწევისათვის საჭიროა რათა ყოველ წითელ არმიელში ძლიერი იყოს ამ საქმისადმი სიყვარული და კარგ მსროლელად გახდომის სურვილი. ხოლო თუ კი არის ასეთი პირობები, იმ შემთხვევაში დრო უბრალოდ არ დაიკარგება.

წარმოუდგენელია შეიარაღებული წითელ-არმიელი, რომელსაც არ შეეძლოს უფროსისაგან, დამოუკიდებლად მოფიქრებული და სწორი გასროლა.

უნდა გვახსოვდეს, რომ საერთოდ სროლა არის ხელოვნება, რომელიც შესწავლილ უნდა იქნას კეთილ-სინდისიერად და ყოველ მხრივ, ხოლო ხელ-მიშვერ სროლა, რომელიც მოითხოვს არამც თუ სწორ სროლას, არამედ განსაკუთრებულ სისწრაფეს და სიმარდეს,—წარმოადგენს იმ სასურველ მიზანს, რომლისკენაც უნდა მიილტვოდეს ყოველი მსროლელი.

პ.

# სამხედრო ქიმია.

## სხვა და სხვა საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებათა ტაქსიური (მომწამვლელი) მოქმედება.

**როგორ ჰკლავს კაცს საბრძოლო გაზი.**

ვინაიდან მკითხველთა მასებში თანდათან შედის და ვრცელდება ცნობები საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებათა (გაზების), მათი ხმარების წესებისა და თავდაცვის შესახებ, მკითხველებში იბადება ახალი საკითხები, რომლებიც მოითხოვენ, რათა უფრო დაწვრილებით იქნას ახსნილი ახალი იარაღის ყველა თვისებები.

ასეთ საკითხებს შორის არა ერთხელ ყოფილა საკითხები უფრო გავრცელებული მომწამვლელ ნივთიერებათა ტაქსიურ (მომწამვლელ) ანუ ფიზიოლოგიურ მოქმედების შესახებ, და აგრეთვე იმის შესახებ, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს გაზისაგან დაზიანებულზე დახმარება.

ამ საკითხების დაწვრილებით გაშუქება მოითხოვდა ყოველი გაზის შესახებ ბევრ წერას, რაიც არც ისე საჭიროა და მეტად ძნელიც იქნებოდა.

მაგრამ ვსთვლით რა ამ საკითხებს მნიშვნელოვან საკითხებად, ჩვენ შევეცდებით მოკლე და რაც შეიძლება ნათელ ფორმებში განვმარტოთ მომწამვლელი თვისებები იმ უფრო გავრცელებულ მომწამვლელ ნივთიერებათა, რომლებიც უსათუოდ ხმარებულ იქნებიან მომავალ ომში.

ეს გაზები შემდეგია: ფოსგენი, პალიტი, სუპერპალიტი, ქლორტიკრინი, ნახშირბადის სიმჟავე, ლილის სიმჟავე, ბრომაცეტინი, ავროლსინი და სხვა.

**ფოსგენი** მხუთარი და მომწამვლელი გაზია. შესუნთქვის დროს იწვევს ძლიერ ხველას, ნერწყვის დენას, ცრემლებს, აზიანებს და აფუჭებს თვალების, ცხვირის, ყელის ლორწიან გარსს, აფუჭებს სასუნთქავ ყრონტსა და ფილტვებს. თუ რომ ფოსგენით მოწამლული გამოვა სუფთა ჰაერზე, ტკივილები სწრაფად გაუვლის, მაგრამ თუ არ მიმართა საჭირო ზომებს, ე. ი. თუ საჩქაროდ არ მივიდა ექიმთან 2—3 დღეში ტკივილები კვლავ განახლდებიან და ავადმყოფი შეიძლება მოკვდეს; ეს უნდა გვახსოვდეს ყოველთვის.

მოწამლულზე პირველი დახმარება გამოიხატება იმაში, რომ ექიმის მიშველებამდი ფოსგენით მოწამლული გაჰყავთ სუფთა ჰაერზე და შემდეგ შეასუნთვიებენ ნიშადურის სპირტს (ამ მიაკს).

უნდა ეცადო, რომ ავადმყოფმა ბევრი არ იმოძრაოს, საჭიროა **სრული მოსვენება.**

**პალიტი და სუპერპალიტი.**

ეს გაზები ერთმანეთს ჰგავს მომწამვლელ თვისებებით, ესენი ორივენი იწვევენ ცრემლებსა და ხუთვას, მაგრამ მეორე გაზი—„სუპერპალიტი“ უფრო მხუთარი და მომწამვლელია, ვინემ „პალიტი“. ესენი ორივე აზიანებენ თვალის, ცხვირის, ყრონტის და სასუნთქავ და საყლაპავ ყრონტის ლორწოიან გარსს. თავისი მხუთარი მოქმედების სიძლიერით „პალიტი“ ფოსგენზე არა ნაკლებ ძლიერია, მაგრამ ისეთი დაგვიანებული მომწამვლელი მოქმედება არ აქვს როგორც ფოსგენსა და სუპერპალიტს. ამ გაზებით მოწამლულებზე პირველი დახმარება ერთნაირია.

ლ. ვორონოვი.

# ამხ. კამენევის მოხსენება

## სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე.

მომხსენებელმა დაიწყო იმ ფაქტებით, რომ საბჭოთა მთავრობის მუშაობას წარსულ წელში მოჰყვა ცნობათა მთელი რიგი კაპიტალისტურ სახელმწიფოების მხრივ.

**მტკიცედ გვიჭირავს გუთანი და თოფი.**

ჩვენ გავიმარჯვეთ და გვიცვნეს არა იმიტომ, რომ ვითომც ტეხნიკურად მოწინააღმდეგეზე ძლიერი ვიყვეთ, არამედ იმიტომ, რომ მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების სიმპატია მიმართული იყო პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დახმარებისაკენ.

თუმცა ჩვენი ცნობა ერთნაირად ხელს შეუშლის ჩვენს მტრებს აშკარად დაგვესხან თავს, მაგრამ ჩვენ მაინც მზად უნდა ვიყვეთ, რათა უზრუნველვყოთ საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი შრომა და აღმშენებლობა.

მაგრამ დღე, ყველამ იცოდეს, რომ თუ დასჭქებს ომის მეხი და მოგვიხდება შევცვალოდ გუთანი და ჩაქუჩი თოფსა და ტყვია მფრქვევზე—საჭიროა მტკიცედ გვეჭიროს ხელში ეს თოფი პროლეტარიატსა და გლეხობას.

**ევროპის დენთის სარდაფი საფრთხეშია.**

მომხსენებელმა დაახასიათა დასავლეთ სახელმწიფოების საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობა და განაცხადა:

ეროვნული უთანხმოება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს შორის, რომელიც გამოწვეულია სხვა მიზეზებს გარდა ვერსალის ზავისაგან, ნიადაგს უმზადებს ახალ ომებს. სრულიად აშკარაა, რომ ეს ახალი პროცესი დიდ უბედურებას უქადის ევროპას.

განა ბულგარეთის ამბები ცუდი საბაბი იყო ომისათვის?

ბულგარეთის მთავრობამ ამ შემთხვევის გამო ერთი კლანჭი მოსკოვს გაჰკრა, მეორე სამხრეთ სლავიას. რამოდენიმე დღის განმავლობაში შეიქნა ისეთი, მდგომარეობა, რომ შესაძლებელი იყო აფეთქებულიყო ომის ცეცხლი ბალკანეთში.

მიუხედავად კაპიტალისტურ პოზიციების ნაწილობრივ გამაგრებისა, ევროპის დენთის სარდაფის აფეთქება ყოველ წუთს მოსალოდნელია.

ბურჟუაზია გულის კანკალით გრძნობს საფრთხეს.

მაგრად აკაკუნებს კაპიტალისტურ ქვეყნის კარებზე პროლეტარული რევოლიუცია, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ საფრანგეთისა და გერმანიის კაპიტალისტებმა არ მოილაპარაკონ და არ შეეცადონ სამოქალაქო ომის ჩახშობა კაპიტალისტურ ომის სისხლში, რაიც ადრე თუ გვიან აუცილებელია.

**ბურჟუაზიას წელს უმაგრებს გამყიდველი მეორე ინტერნაციონალი.**

თუ გადავხედავთ მთელ ისტორიულ ეპოქას, როგორც ომის პერიოდში, ისე მის შემდეგ დასავლეთის ბურჟუაზიის ბატონობას უშველა არა გენერლების, ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებისა და ფინანსისტების ნიჭმა, არამედ მეორე ინტერნაციონალის წმინდა გამყიდველურმა და ლაქიურმა მუშაობამ. რომ ეს გამცემლები არ ყოფილიყვნენ, ბურჟუაზია აღგვილი იქნებოდა დედამიწის პირისაგან.

მაგრამ პროლეტარული რევოლიუციის შეჩერება ბურჟუაზიას არ შეუძლია. პროლეტარული რევოლიუცია, როგორც აუცილებელი ბედისწერა, ისე მისდგომია ბურჟუაზიულ ქვეყნების კარებს და მაგრად უკაკუნებს.

ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ აღიმართება პროლეტარული რევოლიცია ერიომუსოლინ—ჰინდენბურგის გვამებზე.

**დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ფაქტი.**

ჩვენი პროფკავშირები თანდათანობით უახლოვდებიან ინგლისის პროფკავშირებს.

ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ინგლისის პროფკავშირები, რომლებიც აერთიანებენ უმთავრესად ინგლისის კვალიფიციურ მუშებს, ყოველთვის წარმოადგენდენ რეფორმიზმის ბაზას.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ ბურჟუაზიული პოზიციები მართლაც გაძლიერდენ, მაგრამ ამასთან ერთად მწიფდება რევოლიუციონურ განწყობილებაც. ეხლა საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ შევსძლებთ თუ არა ჩვენ გავმაგრდეთ მანამ, სანამ მომწიფდებოდეს რევოლიუციონური ყანა, რომელსაც სთესავს უნებლიეთ ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუცია.

**სამი ხაზი,**

ეხლა ანგარიშს მოგცემთ იმის შესახებ, თუ რა გავაკეთეთ ჩვენ და რის გაკეთებას ვაპირობთ მომავალში, რომ დავმაგრდეთ ამ მომენტამდი.

აქ ჩვენი ღონისძიებანი მიმართულ უნდა იქნან სამი მიმართულებით.

პირველი—ეს არის ეროვნული საკითხის გადაჭრა.

ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი კავშირის ერების კავშირი იყოს მართლაც მშრომელთა ნებაყოფლობითი კავშირი.

მეორე ხაზი—ეს არის თავდაცვის უნარისა და ჩვენი არმიის გაძლიერების საკითხი.

ბოლოს მესამე და მთავარი ხაზი—ეს არის ჩვენი სამეურნეო შეძლების გაძლიერება.

მომხსენებელი იძლევა მეურნეობის ყველა დარგის მდგომარეობის დახასიათებას და ამბობს: „თუ ჩვენ ვაძლიერებთ ჩვენს პროდუქციას იმ ტემპით, როგორც დღემდის, მაშინ ჩქარა დავანებებთ თავს ომამდე არსებულ დონესთან შედარებას და ამ დონესაც მალე შორს დავტოვებთ.“

**„ყურადღება სოფელს“**

ეხლა გადავდივარ საკითხზე, რომელიც სდგას საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრში.

მწარმოებელ ძალთა განვითარება სოფლად მიმდინარე მომენტის ძირითადი ამოცანაა.

ამ მხრივ ბევრი გავაკეთეთ, მაგრამ კიდევ ძალიან ბევრი გვაქვს გასაკეთებელი.

მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ თუ ჩვენ მოუსავლიან წელში ვებრძოდით სოფლის პროდუქტებზე და განსაკუთრებით პურზე ფასების აწევას,—ეხლა კი, ახალ მოსავალზე ჩვენ ვიბრძოლებთ პურზე ფასების დაწევის წინააღმდეგ თუ კი მას ადგილი ექნება და მივმართავთ მთელ ჩვენს ღონისძიებას იქეთ, რათა უზრუნველვყოთ გლეხისთვის სამართლიანი ფასი მის ნამუშევარზე.

ჩვენ გავაგრძელებთ აგრეთვე სагადასახადო საქმის გაუმჯობესებას და შევუმსუბუქებთ მის სიმძიმეს მშრომელთა მასებს.

საჭიროა, რათა გლეხმა იცნოს საბჭოებში საკუთარი ორგანოები. მხოლოდ ამ პირობებში გავიმარჯვებთ ჩვენ მსოფლიო მაშტაბით.

# პარტიული ცხოვრება.

## კავშირი სამხედრო და სამოქალაქო უჯრედებს შორის.

სამხედრო და სამოქალაქო უჯრედებს შორის კავშირის გაბმა აუცილებელ საჭიროებას რომ წარმოადგენს, ამის მტკიცება ზედმეტია.

ეს კავშირი ამართლებს სამს მიზანს. პირველი ის არის, რომ უჯრედების შემადგენლობა გაცნობა ერთი-მეორეს უწყებებს და მათი მუშაობის ხასიათს, მეორე, მათი მუშაობის უნარიანობის გაცნობა და უჯრედის აქტივის გამოყენება კულტურულ მუშაობაში, და მესამე, ურთიერთ შორის დაახლოვება და კავშირი. ამ გვარ კავშირს დიდი სარგებლობა მოაქვს საერთო საქმისათვის, მაგრამ აქ აღნიშნული უნდა იქნეს ერთი გაუგებრობა, რომელსაც მომავალში არ უნდა ქონდეს ადგილი.

ეს შემდეგში გამოიხატება: როდესაც ხდება შეერთებული კრებები, მაგალითად, მუშებთან, აქ რუსულათ და ქართულათ ატარებენ კრებებს და თუ სამხედრო ნაწილში იწვევენ კრებას, იქ მარტო რუსულათ აკეთებენ მოხსენებას და ქართველი მუშა კი ვერას გებულობს, ამიტომ ის მის გვერდზედ მჯდომ წითელ არმიელს სთხოვს, როგორმე მოაწყოს მისი განთავისუფლება.

ეს პატარა შემთხვევაა, მაგრამ ის დიდად აბრკოლებს კავშირის გაღრმავების საქმეს. მისი გამოსწორება სულ ადვილათ შეიძლება, და მგონი ასეთი რამ შემდეგში არ განმეორდეს, რადგან პარტგამსინჯავ კომისიამ სათანადო ზომები მიიღო მის გამოსასწორებლათ. ამ კრებებზე აქვს ადგილი აგრეთვე ერთ დაუშვებელ შეცდომას: ზოგიერთ მუშას ასე ჰქონია წარმოდგენილი, თითქოს სამხედრო უწყებაში მომუშავე კომუნისტებმა გარდა იარაღის ხმარების არა იციან რა. ყოფილა შემთხვევა, რომ სამხედრო პირს -კომუნისტს ავალებს მოხსენებას მუშების უჯრედი, გამოდის უჯრედიდან მუშა და ამბობს: რა მოხსენება უნდა გაგვიკეთოს მან? ტყვიის მფრქვევზე თუ თოფზე?.. აი როგორი წარმოდგენა ჰქონია მას სამხედრო უწყებაში მომუშავე კომუნისტებზე. შეიძლება ასეთი შეუგნებელი მუშა კიდევ იყვეს ჩვენს პარტიის რიგებში და ჩვენი ვალია მათთან დაახლოვება, რომ იმათმა სწორი წარმოდგენა იქონიონ ჩვენზე.

ს. ლომიძე.

## მუშაობა გამოცოცხლდა.

პირველ ლეგიონის სკოლის კომუჯრედის მუშაობა თანდათან ნორმალურ კალაპოტში დგება. კრებები სისტემატიურათ მიმდინარეობს. ხშირათ იწვევა ღია კრებებიც, რომელსაც პარტიისა და კომკავშირის წევრებს გარდა ესწრებიან უპარტიო წითელ არმიელები და უფროსთა შემადგენლობა. კრებაზე დამსწრე წითელ არმიელები ეცნობიან კომპარტიის საქმიანობას, რაც ძლიერ იზიდავს მათ.

უჯრედში შემოდის განცხადებები უღარიბესი ოჯახიდან გამოსულ წითელ არმიელებისაგან და ითხოვენ პარტიაში მიღებას.

კომუჯრედის ბიუროს სხდომებიც იწვევა სისტემატიურათ. ამ სხდომებზე მუშავდება მომავალი მუშაობის გეგმები.

ლ. ა. კ. კ. წევრები ჩაბმული არიან კომუჯრედის მუშაობაში.

პარტკორი: გ. ბურჭულაძე

## დეზერტირობას ბოლო უნდა მოეღოს.

**ხრესილის წვევამდელთა წერტი.**

ხრესილის წვევამდელთა მოსამზადებელი წერტი გაიხსნა აპრილის პირველ რიცხვებში.

ხელმძღვანელად გვყავს დანიშნული ამხ. ბარამიძე, რომელიც სამხედრო საქმესთან ერთად გვამეცადინებს პოლიტსაათებშიც.

მეცადინეობა საერთოდ სისტემატიურად მიმდინარეობს, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი წვევამდელებში ძლიერ მოიკიდა ფეხი დეზერტირობამ. ეს ვაჟბატონები თავიდანვე არ გამოცხადებულან წერტზე და არც ამ ჟამად აპირებენ მოსვლას.

ვერ ვიტყვით, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ენერგიულ ზომებს ღებულობდეს ამ მოვლენის წინააღმდეგ.

ცოტა გულგრილობას აქვს ადგილი, რაც დაუყონებლივ მოითხოვს გამოსწორებას.

დეზერტირობა ძირშივე უნდა მოვსპოთ.

წვევამდელი ნ. კუბლაშვილი.

## მუშაობა გაცხოველდა.

**პირველი ლეგიონი.**

ლეგიონის საკავშირო ასეული და შტაბის გადამწერები ძლიერ ჩამორჩენილი იყვნენ პოლიტსაათებში მეცადინეობას.




ბიურო კოლექტივმა ყურადღება მიაქცია ამ გარემოებას და დაავალა ლეგ-ადიუტანტ ამხ. შონიას რომ მას დაეწყო პოლიტსაათების ჩატარება ხსენებულ ასეულში.

ამხ. დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი ამ დავალებას და დღემდე პირნათლად ასრულებს თავის საქმეს.

ამხ. ხელმძღვანელობამ ბევრი რამ შეგვძინა.

პოლიტსაათების გარდა ყოველ კვირაში ორჯერ ვარჩევთ აგრეთვე ქართველ მწერლებს. ამხანაგისავე თაოსნობით მოვაწყვეთ ექსკურსია ქალაქის მუზეუმში, რამაც წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა ამხანაგებზე.

განზრახულია ამ დღეებში მოვაწყოთ ექსკურსიები ჩვენთვის საჭირო და საინტერესო ადგილებში და დაწესებულებებში.

ასეულისა და შტაბის წ. არმიელები მადლობას ვწირავთ ამხ. შონიას ასეთი დაუზარებელი მუშაობისათვის და იმედია შემდეგშიც არ შეასუსტებს თავის საქმიანობას.

წ. არმიელი კნიცა.

## არტილერისტები სასოფლო სამეურნეო მუზეუმში.

3 მაისს საარტილერიო ლეგიონის არმიელებმა ინახულეს ტფილისში არსებული სასოფლო სამეურნეო მუზეუმი.

ექსკურსია მოეწყო ლეგიონის კლუბის უფროსის ამხ. წითლანაძის მეთაურობით, რომელმაც თავიდანვე გაგვაფრთხილა რომ დიდი ყურადღებით მოვპყრობოდით აგრონომის ახსნა განმარტებას.

მუზეუმში შესვლისთანავე ჩვენ შეგვხდა აგრონომი ქალი, რომელიც მოგვესალმა. რამოდენიმე წუთის შემდეგ დავიწყეთ დათვალიერება. დავათვალიერეთ ყველა განყოფილებები. თითეული მათგანს უთმობდით საკმაო დროს, რომ მუზეუმის აგრონომს ვრცლათ გაეშუქებია წითელ არმიელებში "სასოფლო მეურნეობის სხვა და სხვა დარგის სარგებლიანობა.

ჩვენ ყველაფერში მაგალითები მოგვყავდა ჩვენ ჩვენი სოფლებიდან და ვადარებდით მუზეუმში ნახულს.

განსაკუთრებით ძლიერ დააინტერესა წით. არმიელები საქართველოს სხვა და სხვა კუთხების პავილიონებმა, რომლებიც მხატვრულად არიან შესრულებული.

აქ არის უმთავრესად ზემო სვანეთის მოსახლეობა, იმერეთის, ქართლის, კახეთის და სხვა მხარეების.

სასურველია, რომ ჩვენი უფროსები მოაწყობდენ კიდევ ექსკურსიებს სასოფლო სამეურნეო მუზეუმში და სამეურნეო არსენალეში, სანამ ჯერ კიდევ არ გავსულვართ საბანაკოდ.

პორფილეს შვილი.

## ცვალებადთა შორის.

ქ. ზესტაფონის საზამთრო თეატრში შესდგა 4-ხე ლეგიონის 2-რე ათასეულის ცვალებად შემადგენლობის დელეგატების კონფერენცია. კონფერენციას დაესწრენ ყველა რაიონების ცვალებადთა წარმომადგენლები და ადგილობრივი ცვალებადი შემადგენლობა.

კონფერენცია გახსნა ამხ. ახობაძემ, რის შემდეგ დაიწყო მისალმებანი. პირველად მიესალმა კონფერენციას შორაპნის მაზრის წარმომადგენელი ამხ. კ. შარიქაძე, შემდეგ ზესტაფონის რაიონიდან ამხ. დ. გულოვი და სხვები.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ტერ-აღმშენებლობაზე და მის მნიშვნელობაზე.

კონფერენცია იშვიათური განწყობილებით იქნა ჩატარებული.

დასასრულ მთელმა შემადგენლობამ დასდო ფიცი, რომ მთელ თავის ენერგიას მოახმარებენ სამხედრო საქმის საფუძვლიანად შესწავლას და ყოველგვარ დავალებებს შეასრულებენ პირნათლად.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ, მოხდა ადგილებზე სამხკორების და ტერკორების დანიშვნა.

არჩეულ იქნენ აგრეთვე მათი რწმუნებულები რომლებსაც დაევალად ადგილებიდან ყოველგვარი ცნობების მოწოდება და საჭიროების დროს დანიშნულ ადგილზე თავის შეყრა.

საერთოდ კონფერენციის მუშაობა ძლიერ ნაყოფიერი იყო.

სამხკორი ლ. მცხეთელი.

## 22 სპეცი კიდევ შეემატა ჩვენს რიგებს.

**საკავშირო სპეციალურ კურსების მსმენელთა გამოშვება.**

პირველ ქართულ დივიზიის საკავშირო ასეულთან გასულ წელში გაიხსნა საკავშირო სპეციალური კურსები.

კურსებზე ორივე ქართულ დივიზიებიდან მოვლენილი იქნენ 22 მეთაური სპეც ცოდნის მისაღებათ.

5 მაისს დაიწყო კურსებზე გამოცდები, რომელსაც ხელმძღვანელობდა არმიის კავშირის ინსპექტორი.

კურსანტები თამამად შეუდგენ რამოდენიმე თვის განმავლობაში მიღებულ ცოდნის გადმოლაგებას საგამოცდო კომისიის წინაშე.

სასიხარულოდ ჩვენდა უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი მსმენელი არ ჩაჭრილა. ამნაირად კურსებმა ჯერ-ჯერობით მშვენივრად გაამართლა იმედები.

22 ახალგაზრდა სპეცი ცის მანანასავით მოევლინებიან ჩვენს ნაწილებს და იმედი გვაქვს მთელ თავის ცოდნას და გამოცდილებებს გაუზიარებენ წითელ არმიელებს.

სალამი ახლად გამოშვებულ საკავშირო საქმის სპეცებს. გაუმარჯოს მათ საქმიანობას ჩვენი ნაწილების მომზადების საქმეში.

სამხკორი შალაშინი.

## ევტიხი ვაშალომიძის ხსოვნას.

გუშინ ქართ. მეთაურთა სკოლამ შემაძრწუნებელი ცნობა მიიღო. ქ. ხაშურში 5 მაისს გარდაიცვალა კურსანტების საყვარელი ამხ. ევტიხი.

**ევტიხი ვაშალომიძე** ქართველ მეთაურთა სკოლის ერთი უნიჭიერესი და თვალსაჩინო პოლიტ-მასწავლებელი იყო.

მას უყვარდა თავდადებული შრომა და მუდამ თან ახლდა საქმისადმი სიყვარული და გულწრფელობა.

ის კურსანტების ძმა იყო, უფროსი ძმა და ხელმძღვანელი. მეტად სერიოზული, მომზადებული და წინ დახედული!

არავის ისე ძლიერ არ უყვარდა პოლიტიკური და კულტურული მუშაობა როგორც მას!

ამხ. ევტიხი გასული წლის შემოდგომაზე გადმოვიდა მეთაურთა სკოლაში და რამოდენიმე თვის განმავლობაში ყველასთვის თვალსაჩინო გახდა. იგი—სკოლაში გადმოსვლამდე ხაშურის რაიონში აწარმოებდა პარტ-მუშაობას. აქ დაამთავრა მან საშუალო სასწავლებელი.

განსვენებული ოზურგეთის მაზრიდან, სოფელ მაკვანეთიდან იყო და როგორც ოზურგეთის მაზრა, ისე ხაშურის რაიონი მას კარგად იცნობდენ, როგორც საკმაოდ გამოცდილ მომუშავეს და დაუღალავ შეუდრეკელ რევოლიუციონერს!

სკოლაში—ამხ. გარდა პოლიტ-მასწავლებლობისა იყო სხვა და სხვა კამპანიების, საუბრების და რედ-კოლეგიის ხელმძღვანელი.

განსვენებული დიდის მოწიწებითა და ყურადღებით ეპყრობოდა სუსტ ამხანაგებს, იგი ასეთების დახმარებას თავის პირდაპირ მოვალეობად სთვლიდა.

არავის უყვარდა იმაზე უფრო—ლამაზი და დალაგებული მოხსენება: პოლიტიკურ მდგომარეობაზე, სხვა და სხვა კამპანიებზე და ხელოვნებაზე.

იგი აპრილის ბოლო რიცხვებში თავის საყვარელ ქალაქ ხაშურში წავიდა დასასვენებლად და აქ საშინელმა სენმა — იგი გამოასალმა წუთი სოფელს, საყვარელ საქმეს და ამხანაგებს!

ამხანაგო ევტიხი!..

ყველას ბრძოლისაკენ მოუხმობდი ჯერ ისევ გუშინ, ეხლა კი გულში აღარა გაქვს ცეცხლი!..

შენ გიხაროდა გაზაფხული, —მოფრენა მერცხლის,—მაგრამ მტრის ბანაკს მეხის სიტყვებს შენ ვეღარ უშენ!!

და შენ, რომელსაც გულწრფელობა გთანამგზავრობდა და ბრძოლის ჟინით მუდამ აღგზნებული იყავი—დღეს აღარა გვყევხარ!.

დაგტირის ქართველ მეთაურთა სკოლა, რომლის უერთგულესი მეგობარიც იყავი შენ!

განისვენე ძმაო! შენი თავდადებული შრომა, წინდახედულობა და გულწრფელობა სამაგალითოდ დარჩება ჩვენთვის!!..

სევ. ჭიჭინაძე.

## შევასწავლეთ რუსული წერა-კითხვა.

მეხუთე ლეგიონის წითელ არმიელები ძლიერ მოწადინებულნი არიან, რომ შეისწავლონ წერა-კითხვა რუსულ ენაზე.

ხშირათ გაიგონებთ წითელ-არმიელებში: მე რომ წითელი არმიის რიგებში მოვედი პირველათ არ ვიცოდი სამშობლო ენაზე წერა-კითხვა. დღეს კარგათ ვკითხულობ გაზეთებს და თავისუფლადაც ვწერ, რადგან ნაწილში მოსვლისთანავე გულმოდგინეთ შეუდექი მეცადინეობას. ეხლა წერა-კითხვას რუსულ ენაზედაც რომ შეგვასწავლიდენ, ძალიან კარგი იქნებოდაო.

მართლაც ძალიან საჭიროა, რომ ჩვენმა წითელ-არმიელებმა იცოდენ წერა-კითხვა რუსულ ენაზედაც.

იმედი გვაქვს ჩვენი უფროსები ამასაც მიაქცევენ ყურადღებას და გაგვიხსნიან ლეგიონში რუსული ენის შესწავლისათვის წრეს ანუ კურსებს.

სამხკორი: ე. ა.

## ჩვენი ბიბლიოთეკა.

### მეხუთე ლეგიონი.

ამ უკანასკნელ ხანებში, ახალი ბიბგამგის მოსვლის შემდეგ ჩვენი ბიბლიოთეკა კარგად მოეწყო. საბიბლიოთეკო მუშაობა გამოცოცხლდა. ბიბლიოთეკის გარეგნულად გალამაზების საქმესაც დიდი ყურადღება ექცევა.

ბიბლიოთეკაში ამას გარდა დაარსებულ იქნა საბიბლიოთეკო წრე. ბიბგამგეს განზრახული აქვს ახლო მომავალში მოაწყოს წიგნის უდიერად მომპყრობ არმიელის გასამართლება.

გასამართლებისათვის სწარმოებს წინასწარი მზადება და იმედი გვაქვს კარგადაც ჩაატარებენ მას მომწყობი ამხანაგები.

სამხკორი მ—სკი.

## პასუხად სამხკორ მ—სკის.

ამხ. მ—სკი გაზეთ „წითელ არმიელის“ 28 აპრილის ნომერში სწერს: მეხუთე ლეგიონის პირველი ათასეულს კვირაში ერთი დღე ორშაბათობით დათმობილი ქონდა ახალგაზრდათა კლუბში კინო სურათების სანახავად. და ეხლა კი თვე ნახევარია რაც კინოში არ ვყოფილვართო“.

ეს კორესპონდენცია სავსებით არ შეიცავს სიმართლეს.

კინო სურათები არ იყო ნაჩვენები მხოლოდ ორჯერ (სამაგიეროთ ერთხელ კინოს მაგიერ იქნა დადგმული უფასო წარმოდგენა სახელმწიფო თეატრში.)

მიზეზი, რომ მხოლოდ ორჯერ იყო კინო შეჩერებული (და არა თვე ნახევარი), არის შემდეგი: ქუთაისის გარნიზონის ყველა ნაწილებს ახკომკავშირელთა კლუბი ვერ იტევდა,

ზოგიერთი შემთხვევაში ამის გამო, არა სასიამოვნო მოვლენასაც ქონდა ადგილი.

ამიტომ ახკომკავშირის კლუბის გამგეობამ უარი გვითხრა შენობით სარგებლობაზე.

ამ ჟამად გამონახულია შესაფერისი შენობა და სურათების ჩვენებაც სისტემატიურად მიდის.

რაც შეეხება ორჯელ კინოს ჩვენებას, ეს შეუძლებელი გახდა, რადგანაც ქუთაისში მუშაობს ორი ფასიანი კინო და ქალაქის ელექტრო სადგური ენერგიას არ იძლევა გარდა ორშაბათობისა.

დ. მიქაძე.

## ასეულის მეკუჭნავე.

### მეკუჭნავის მოვალეობანი.

მიუხედავათ იმისა რომ ასეულის მეკუჭნავის პატარა თანამდებობა არავისთვის არაა თვალსაჩინო, იგი მეტად საპასუხისმგებლოა. მეკუჭნავის მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული, რომ წითელმა მოლაშქრემ თავის დროზე მიიღოს სათანადო ხარისხის და თვისების ყველა ის, რაც მას კანონით ეკუთვნის.

ასეულის მეკუჭნავის მოვალეობას შეადგენს: ასეულის საჭიროებისთვის სურსათ-სანოვაგის დროიანათ სრულათ მიღება, მათი გადმოტანა საკუჭნაოში იმ ანგარიშით, რომ სადილისთვის არ დაგვიანდეს, ყველა ღონისძიებათა მიღება, რათა ასეულის საკუჭნაოში პროდუქტები ინახებოდეს სათანადო სისუფთავით და არ გაფუჭდეს. მასვე მოეთხოვება მიაქციოს განსაკუთრებითი ყურადღება, რომ მისაღები პროდუქტები იყოს საღი და წონაშიც არ მოტყუვდეს. ერთსა და იმავე დროს მეკუჭნავემ უნდა აწარმოვოს ნამდვილი აღრიცხვა, როგორც მიღებულ, აგრეთვე სამზარეულოში გადაცემულ პროდუქტებისა და თავის ვადაზე გადასცეს ასეულის კანცელიარიაში სათანადო ცნობები.

სანივთო ქონების შესახებ მეკუჭნავეს მოეთხოვება მიიღოს ერთეულის მოლარიდან საჩეკო მოთხოვნილებით სანივთო კმაყოფის საგნები, დაჰკრას დაღი ამ ნივთებზე, წითელ არმიელთათვის დარიგების დროს, შეიტანოს მათ წიგნაკებში და ჩასწეროს გაცემული ნივთები ასეულის საარმატურო დავთრებში. როდესაც ასეულის შესავსებათ მოვლენ წითელ არმიელები სხვა ნაწილიდან, ან თვითონვე ერთეულის სხვა ასეულიდან,— მეკუჭნავემ უნდა გასინჯოს მათი საარმატურო სიები და შეადაროს წითელ-არმიელთა წიგნაკებთან. თუ რომ ასეულში მოვიდა წითელ არმიელი, რომელსაც არა აქვს საარმატურო სია, მან უნდა გასინჯოს, შეამოწმოს წითელ არმიელის ხელზე მქონი ნივთები და შეიტანოს ახალ საარმატურო სიაში და წიგნაკშიც. ახალი ნივთების დარიგების დროს, ასეულის მეკუჭნავე მოვალეა ჩამოართვას წითელ არმიელებს, როგორც გაცვეთილი უვარგისი, აგრეთვე ის ნივთები, რომელიც იყო ხმარებაში ტაბულით დაწესებულ ვადის განმავლობაში, შეადგინოს ჩასაბარებელი სია და ჩააბაროს ხსენებული ნივთები ერთეულის სამნეო ნაწილში.

თუ რომ ასეულიდან მიდიან წითელ არმიელები, ისევე მეკუჭნავემ უნდა შეადგინოს მათზე საარმატურო სიები.

ყოველთვიურად ასეულის მეკუჭნავე უნდა გამოცხადდეს ერთეულის სამნეო ნაწილში ასეულის ქონების პირადი ანგარიშებით და შეამოწმოს მათი სინამდვილე ერთეულის სამნეო ნაწილის ცნობებთან შედარებით.

მისსავე მოვალეობას შეადგენს მიღება და ჩაბარება თოფებისა და ყოველგვარ ცეცხლის მფრქვევ მასალისა. მან უნდა ჩაუწეროს წითელ არმიელებს წიგნაკებში თოფები და აწარმოვოს ამაზე განსაკუთრებითი სიები. ისვე აწარმოებს ყოველგვარ სპეციალურ ქონების მიღებას და დარიგებას თავის ასეულში.

(გაგრძელება იქნება)

ნ. შანშიაშვილი.

## ამბები სოფლებიდან.

**სამეურნეო სასწავლებელი.** გორის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწ. მოქმ. კომისარიატის წინაშე, გორის მაზრაში სას.-სამეურნეო სასწავლებლის გახსნის შესახებ.

**წყაროს გამოყვანა.** ახალციხის მაზრაში, სოფ. ადიგენში გლეხებმა გამოიყვანეს ორი წყარო.

**საფეიქრო სახელოსნო.** ს. ზანავში (ახალციხის მაზ.) ადგილობრივმა გლეხკომმა მოაწყო საქსოვი სახელოსნო 10 საქსოვი დაზგით.

**აგურისა და კირის საკეთებელი.** სოფ. ქოლობნის (სენაკის მაზრა) თემგლეხკომმა გადასწყვიტა მოაწყოს კირის საწვავი და აგურის საკეთებელი ქარხნები.

**მეფუტკრეობის კურსები.** გორის აღმასკომმა გადასწყვიტა გორში გახსნას მეფუტკრეობის კურსები. კურსებზე უფასოთ შეასწავლიან დაინტერესებულ გლეხებს მეფუტკრეობას.

**სათესლეს შესაძენათ.** სიღნაღის აღმასკომმა გაუნაწილა საკრედიტო ამხანაგობებს მთავრობის მიერ გადადებული 25 ათასი მანეთი, გლეხებისათვის სათესლე სესხის მისაცემათ.

## საქ. სახალხო კომისართა საბჭოში.

— **საქ. უმაღ. ეკ. საბჭოს** შემადგენლობა დაამტკიცა, შემდეგი სახით: თავმჯდომარე— ამხ. შ. ელიავა, თავმჯდ. მოადგილე—ამხ. ა. გეგეჭკორი და ს. ჯუღელი; წევრებათ: ამხ. ჟუჟუნაშვილი, ა. ვაშაძე, ა. მიქაძე, გ. ყურულაშვილი, ა. რუხაძე, თ. ღლონტი და ლ. გამყრელიძე.

— **სახკომსაბჭომ დაამტკიცა** მ. და გლ. ინსპექციის მიერ წარდგენილი პროექტი დებულებისა კურორტთა მთავარ სამმართველოს შესახებ. პროექტი დასამტკიცებლათ გადაეცა საქ. ცაკს.

— **სახკომსაბჭომ დაამტკიცა აგრეთვე**, იუსტიციის კომისარიატის მიერ წარდგენილი დადგენილების პროექტი სანადირო იარაღის აღრიცხვისა, შენახვისა და შეძენის წესის შესახებ.

— **საექსპერტო კომისიები.** სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულია, ცენ. სტ. სამმართ. მიერ წარდგენილი პროექტი, სარესპუბლიკო, სამაზრო და სათემო საექსპერტო კომისიების მოწყობის შესახებ სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გამორკვევის მიზნით.

— **მილიციის უფროსმადგენლობის** მოსამზადებლათ, სახ. კომსაბჭომ საჭიროთ სცნო გახსნას შინაგან საქ. სახ. კომისარიატთან სამთვიანი კურსები.

— **ბრძოლა საქონლის ჭირთან** საქართველოში გავრცელებულ საქონლის ჭირთან ბრძოლის მიზნით, სახკომსაბჭომ გამოყო კომისია ამხ. ამხ. ა. დოლიძის, მათიკაშვილის, ღლონტის, კუჭაიძის და ვაშაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ჭირთან ბრძოლის საწარმოებლათ გამონახოს საჭირო თანხები.

## ახალი ამბები.

— **რადიო-გამოფენა.** 17 მაისს მოსკოვში იხსნება რადიო-გამოფენა, რომელზედაც გაგზავნილი იქნება საქ. რადიო სადგურების სურათები.

— **მიმღები რადიო-ტელეფონების** მეპატრონე მუშა-მოსამსახურენი, მუშათა კლუბები და წრეები ფ.—ტ. კომისარიატმა გაანთავისუფლა სააბონიმენტო გადასახადისაგან.

— **საკურორტო კომისია** აცხადებს, რომ განცხადებების მიღება იწარმოებს საღამოობითაც 4—8 საათამდე.

— **ახალ დაბადებულთათვის.** დამხღვევმა კასამ გასული წლის ოქტომბრიდან ა. წ. აპრილამდე დახმარება აღმოუჩინა 1981 ახალ დაბადებულს.

— **საქართველოში მინდვრებ—ჭაობების** ამოსაშრობათ და მორწყვის საწარმოებლად ა. კ. სას.—სამ. ბანკმა გადასდო გასულ წლის აპრილიდან ა. წ. აპრილამდე და სესხად გასცა 65 ათასი მანეთი.

— **არხების შესაკეთებლათ.** ა. კ. წყალთა მეურნ. სამმართველომ გადასდო „მაშაველის“ და 1-ლ საბჭოთა არხის შესაკეთებლათ 20 ათასი მანეთი.

— **მეაბრეშუმეთა საზოგადოება** საზღვარ-გარეთიდან იწერს 250 აბრეშუმის სახვევ ჯარას.

— **მეურნეობის ასაყვავებლათ** გადადებული სესხი 265 ათ. მან. რაოდენობით ა. კ. სახკომსაბჭომ შემდეგნაირათ დაანაწილა: საქართველოს —65 ათასი მანეთი, აზერბეიჯანს—75 ათასი მანეთი, ნახჩევანს—25 ათასი მანეთი, სომხეთს—50 ათასი მანეთი, აჭარას—30 ათასი მანეთი და აფხაზეთს—20 ათასი.

— **სოფლის მეურნეობისათვის** ამ. კავკ. სახკომსაბჭოს მიერ სპეციალურათ გადადებულ თანხიდან საქართველოს მოუწია 161.250 ათასი მანეთი.

## ამოცანა № 15.

### აბა გამოიცანი?

ორი სადგურიდან, რომელთა შორის მანძილი უდრის 360 ვერსს, ერთ და იმავე დროს გამოდიან ორი ავტომობილი; პირველის სიჩქარე აღწევს 30 ვერსს და მეორის კი 60 ვერსს საათში. ამავე დროს ერთ ერთ ამ სადგურებიდან გამოფრინდა მტრედი, რომელიც გადის საათში 45 ვერსს.

მტრედი მიფრინავს მანამ, სანამ არ შეხვდება მეორე ავტომობილს, შემდეგ ბრუნდება უკან და მიფრინავს პირველისაკენ და ასე შემდეგ. რამდენი ვერსი გაუვლია მტრედს?

## სამხედრო ტრიბუნალი.

5 მაისს ქართულ დივიზიათა სამხედრო ტრიბუნალმა ამხ. სიჭინავას თავმჯდომარეობით განიხილა საქმე არტლეგიონის წ. მ. ბაწილაშვილი ქიტესა სიმონის ძის, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სახაზინო ნივთების გაფლანგვა. სასამართლოს ძიებით გამოირკვა შემდეგი:

ბრ. ბაწილაშილი მსახურებდა რა არტლეგიონის წ. მ. გ. წ. 5 ივლისს თავის ნებით მიატოვა სამხედრო ერთეული, დაჰყო დეზერტირობაში 8 თვე და 26 დღე და ა. წ. 31 მარტს იქნა შეპყრობილი და მიცემული პასუხის გებაში. გაქცევისას თან წაიღო მასზე გაცემული სახაზინო ნივთები, ასეთები მიითვისა და გაფლანგა.

ტრიბუნალმა მიუსაჯა ბრ. ბაწილაშვილს სასჯელთა შეერთების სახით თავისუფლების აღკვეთა გამსახლში მოთავსებით (1) ერთი წლის ვადით და ქონების ნაწილის კონფისკაცია.

გნია.

## ჩვენი ფოსტა.

**ამხ. ტალლას.** შემოიარეთ რედაქციაში.

**ამხ. ნიავს.** თქვენი კორესპონდენცია კოოპერაციის შესახებ არ გამოდგა.

**ამხ. ივ. ბარელაძეს.** თქვენი წერილი „წითელ არმიელების საქციელის შესახებ არ გავა. ამის შესახებ უკვე გავიდა ჩვენს გაზეთში.

**ამხ. ჯანჯღავას** თქვენი საპასუხო წერილი ამხ. დაუნდობელისადმი, არ დაიბეჭდება. თქვენ არ მოგყავთ არც ერთი საბუთი, ამხანაგის წინაალმდეგ.

**ამხ. მორიელს.** კორესპონდენცია გაერთიანებული კრების შესახებ არ გამოდგა.

პასუხის მგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.

## განცხადებები

ქართულ მეთაურთა შეერთებული სკოლა ამით აუწყებს, რომ 5 მაისს გარდაიცვალა ამავე სკოლის ლექტორი

**ამხ. ევტიხი ვაშალომიძე**

### ვის აქვს საწინააღმდეგო?

პირველ საარტილერიო ლეგიონის მესამე ბატარეის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება ახკომკავშირელ არმიელს ამხ. მ. ცქიფურიშვილს პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ.

ვსთხოვთ თუ ვინმე რაიმე უარყოფითი იცის ამ ამხანაგის შესახებ გვაცნობოთ აღნიშნულ ლეგიონის კომუჯრედში.

მისამართი: საბურთალო, კომუჯრედის მდივანი **შმულევიჩი.**

ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტ-სკოლის კომუჯრედში შემოტანილი აქვს განცხადება პარტიის წევრად გადარიცხვის შესახებ, ამავე სკოლის თანამშრომელ-კომპარტიის კანდიდატ ამხ. ვასილ ილიას-ძე თავაძეს. სკოლის კომუჯრედი სთხოვს ყველას თუ ვინმე რაიმე უარყოფითი იცის ხსენებულ ამხანაგის შესახებ, გვაცნობონ ორი კვირის განმავლობაში.

თბილისი. სამხედრო პოლიტ-სკოლა.

მდივანი: **თათაროვი.**

ნ. დ. ს. ც. სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.